



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
FACULTY OF HUMANITIES



ალმოსავლეთმცოდნე-აბრანისტი,
მანანა (მაკა) გოცირიძისადმი
მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
ბიბლიის ებრაული:
კვლევის ტრადიცია და თანამედროვეობა

SCIENTIFIC CONFERENCE
DEDICATED TO ORIENTALIST AND JEWISH STUDIES SCHOLAR
MANANA (MAKA) GOTSIRIDZE:
BIBLICAL HEBREW – RESEARCH TRADITION AND MODERNITY

პროგრამა /თეზისები
PROGRAM/ABSTRACTS

თებერვალი 19 FEBRUARY
თბილისი 2026 TBILISI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
Institute of Oriental Studies
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი
Educational-Scientific Institute of Translation and Literary Relations
ისრაელის ცენტრი
Israel Center
უკრაინისტიკის ცენტრი
Center for Ukrainian Studies
თსუ მუზეუმი
TSU Museum

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი
პროფესორი დარეჯან გარდავაძე
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი ნათია ფუტკარაძე
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი ლალი გულედანი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მაია გურაბანიძე
ისტორიის დოქტორი მანანა ლილუაშვილი
დოქტორანტი თამარ მღებრიშვილი

Organizing Committee:

Professor Darejan Tvaltvaдзе
Professor Nana Gaprindashvili
Professor Darejan Gardavadze
Associate Professor Ekaterine Navrozashvili
Doctor of Philology Natia Putkaradze
Doctor of Philology Nino Popiashvili
Doctor of Philology Lali Guledani
Doctor of Art History Maia Gurabanidze
Doctor of History Manana Liluashvili
PhD Student Tamar Mghebrishvili

რეგლამენტი:

მოსხენება სექციის სხდომაზე – 20 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation at the section meeting – 20 minutes
Participation in discussions – 5 minutes
Working language – Georgian

თებერვალი 19 February

10.30

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
Registration of the Conference Participants

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ს I კორპუსი, სააქტო დარბაზის ფოიე
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Assembly Hall Foyer

11.00 –11.30

კონფერენციის გახსნა
Opening of the Conference

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ს I კორპუსი, სააქტო დარბაზის ფოიე
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Assembly Hall Foyer

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Professor Darejan Tvaltvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dean of the Faculty of
Humanities

მისალმებები
Greetings

11.30 – 13.00

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., N1, თსუ-ს I კორპუსი, სააქტო დარბაზის ფოიე
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Assembly Hall Foyer

სხდომის თავმჯდომარე – ცირა ბარამიძე

Chairperson – Tsira Baramidze

ცირა ბარამიძე

Tsira Baramidze

„ღვთისა“ და „უფლის“ კონცეპტუალური და თარგმნითი ასპექტები ქართული სამოციქულო ლიტერატურის ტექსტებში /Conceptual and Translational Aspects of “God” and “Lord” in Georgian Apostolic Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნაირა ბეპიევი

Naira Bepiev

სახარების ოსურ ენაზე თარგმნის ისტორიიდან: იოანე იალღუზიდის თარგმანი/The History of Gospel Translation into Ossetian: The Translation by Ioane Ialghuzidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი/TSU Scientific-Research Institute of Georgian-Ossetian Relations

ლალი გულედანი

Lali Guledani

ტრაქტატ „პირკეი ავოთის“ შეგონებების (ფრუ' ავოთ) ბიბლიურ ფრაზებთან მიმართება/The Relation of the Exhortations of Tractate “Pirkei Avot” (ფრუ' ავოთ) to Biblical Phrases

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ilia State University, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ლელა წინუაშვილი

Lela Tsitsuashvili

ფერში აქლერებული სიყვარულის მარადიული სიმღერა. „ქება-თა ქების“ ქართული თარგმანების ანთოლოგიის გია გუგუშვილისეული ილუსტრაციები

Eternal Song of Love Expressed in Colors. Illustrations by Gia Gugushvili for the Anthology of Georgian Translations of “Song of Songs”

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, University of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

13.00. – 13.30

მანანა (მაკა) გოცირიძისადმი მიძღვნილი გამოფენა

Exhibition Dedicated to Manana (Maka) Gotsiridze

*ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ს I კორპუსი, მეორე სართული, თსუ-ს მუზეუმი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, TSU Museum*

13.30. – 14.30

შესვენება/Break

14.30 – 17.30

სსდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ს I კორპუსი, ოთახი 206
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 206

სსდომის თავმჯდომარე – ანა ხარანაული
Chairperson – Anna Kharanauli

მარინა მეფარიშვილი

Marina Meparishvili

სხეულის ნაწილების ადმინიშნული საერთოსემიტური წარმომავლობის რამდენიმე ძველებრაული ლექსიკური ერთეული/Several Old Hebrew Lexical Units of Common Semitic Origin Denoting Body Parts

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი/ Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

ანა ხარანაული

Anna Kharanauli

მხატვრული ხერხების გამოყენება მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში პარალელიზმების გადმოტანის მაგალთზე/ The Use of Literary Devices in the Georgian Minor Prophets – Rendering of Parallelisms

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი /Ivane Javakhishvili Tbilisi State University, TSU Center for Eastern Christian Studies

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივრითის ისტორიული ტრანფორმაცია და თანამედროვე ებრაისტიკა/The Historical Transformation of Hebrew and Modern Hebrew Studies

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მაშუკა ბუცხრიკიძე

Mamuka Butskhrikidze

ისრაელი თუ ისრაელელი?

Israel or Israeli?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნათია მიროტაძე

Natia Mirotadze

იშვიათი ლექსების – ἀσμενῖζა-ს (1 მეფ. 6:19) – თარგმნასთან დაკავშირებული სირთულეები პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიებში/Translation Issues of the Rare Word ἀσμενῖζა (1 Kingd. 6:19) in the Old Georgian Versions of 1 Kingdoms

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი/Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, TSU Center for Eastern Christian Studies

თამარ მაგრაქველიძე

Tamar Magrakvelidze

Jer. Geo. 7/11-ის გადამწერის დადგენის ცდა/An Attempt to Identify the Copyist of Jer. Geo. 7/11

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო გიორგაძე

Nino Giorgadze

ძველი ბერძნული ἀντ-ის გადმოტანის საშუალებები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ და სომხურ ვერსიებში/The Rendering of Old Greek ἀντ in the Old Georgian and Armenian Versions of the Minor Prophets

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი/TSU Center for Eastern Christian Studies

14.30 – 17.30

სსლომა III Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ-ს I კორპუსი, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 202

სსლომის თავმჯდომარე – დარეჯან გარდავაძე
Chairperson – Darejan Gardavadze

ნიკოლოზ ნახუტრიშვილი

Nikoloz Nakhutsrishvili

**საქართველოს ეთნოგრაფიული ფოტოები თეირანის „გოლეს-
თანის“ სასახლის ფოტოარქივში/Georgian Ethnographic Photographs
in the Photo Archive of the Golestan Palace in Tehran**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის
ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი/ Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute
of Oriental Studies

ნინო ჩიქოვანი

Nino Chikovani

**საქართველოს ებრაელთა პოლიტიკური უფლებების საკითხი მე-
20 საუკუნის დასაწყისში/The Question of the Political Rights of the
Jewish Community in Georgia at the Beginning of the 20th Century**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane
Javakhishvili Tbilisi State University

ქეთევან კაკიტელაშვილი

Ketevan Kakitelashvili

**გასაბჭოება და ებრაული იდენტობის მოდელის ცვლილება სა-
ქართველოში 1920-1930-იან წლებში/Sovietization and the Shift in the
Jewish Identity Model in Georgia in the 1920s-1930s**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane
Javakhishvili Tbilisi State University

მიხეილ მეფარიშვილი

Mikheil Meparishvili

ტრადიციასა და მოდერნიზაციას შორის: თბილისის სიონისტური ჯგუფი და ებრაული თემი 1920-30-იან წლებში/Between Tradition and Modernisation: Tbilisi Zionist Group and Jewish Community in the 1920s-1930s

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

დარეჯან გარდავაძე

Darejan Gardavadze

კაენისა და აბელის ბიბლიური დრამა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“/The Biblical Drama of Cain and Abel by Ibrahim Al-Koni in his Novel “The Bleeding of the Stone”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

მარტინ ბუბერის თარგმნილი ბიბლიის თეორიული პრინციპები და თავისებურებები/Theoretical Principles and Features of Martin Buber’s Bible Translation

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკატერინე ნავროზაშვილი

Ekaterine Navrozashvili

„ქებათა ქების“ რემინისცენციები - სანდრო შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამიტ“

Reminiscences of “Song of Songs” – Sandro Shanshiashvili’s Lyrical Poem “Shulamith”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ცირა ბარამიძე

Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**„ღვთისა“ და „უფლის“ კონცეპტუალური და თარგმნითი
ასპექტები ქართული სამოციქულო ლიტერატურის
ტექსტებში**

**Conceptual and Translational Aspects of “God” and “Lord”
in Georgian Apostolic Literature**

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, უფალი, სემიოტიკა, ქართული,
კონცეფცია, ბერძნული, ებრაული
Keywords: “God”, “Lord”, Semiotics, Georgian language, Concept, Greek,
Hebrew

მოხსენებაში გაანალიზებულია ლექსიკური ერთეულების – „ღმერთისა“ და „უფლის“ – სემიოტიკა ქართული სამოციქულოს ტექსტებში. განხილულია, თუ როგორ აისახა შესაბამისი ებრაული და ბერძნული ლექსიკური ერთეულები „ღმერთი“ და „უფალი“ ბიბლიის ქართულ თარგმანში. შესწავლილია, თუ როგორ უკავშირდება ნიშანი (სიტყვები: ღმერთი, უფალი) მნიშვნელობებს ფორმის, სემის, რეფერენტის თვალსაზრისით; ასევე – თუ როგორ მუშაობს კონტექსტში ლექსემები „ღმერთი“ და „უფალი“ ქართულში, ებრაულსა და ბერძნულში, როგორ განსხვავებულად „იკითხება“ ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა სიტუაციაში, როგორია **ნიშანთა სისტემები და კოდები** რელიგიურ ლექსიკაში; როგორი ინტერპრეტაცია მისცა ქართულმა ენამ სამოციქულო ტექსტებში ებრაულსა და ბერძნულ სემიოტიკას „ღმერთისა“ და „უფლის“ სინტაქსის (ამ ერთეულთა ურთიერთმიმართება), სემანტიკის (სიტყვის მიმართება მნიშვნელობასთან) და პრაგმატიკის (რეალურ კომუნიკაციაში გამოყენება, მიზანი, კონტექსტი, ეფექტი) თვალსაზრისით.

ქართული სამოციქულოს ტექსტების სემიოტიკური შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ „ღმერთი“ და „უფალი“ ორი სხვადასხვა ტიპის სახელს მიემართება: ერთი (ღმერთი) – ზოგად სახელწოდებას, მეორე (უფალი) კი – სახელს, პიროვნულ იდენტიფიკატორს, ის ტექსტში **სხვა პრაგმატიკას** ატარებს – ჰატივისცემის, ტაბუს, ლიტურგიკული ტრადიციის, ინტერტექსტუალური „კოდის“ ფუნქციას. გაანალიზებულია, თუ როგორ მიემართება ებრაულ და ბერძნულ შრეებს აღნიშნული სემიოტიკა. ბიბლიურ წყაროებში ხშირად გვხვდება ორი ძირითადი ფორმა: יהוה (YHWH) – ღვთის „პიროვნული“ სახელი; עֲלֹהִים (Elohim) – „ღმერთი“, როგორც ზოგადი სახელწოდება. ბერძნულში სტანდარტული თარგმნითი წყვილია: YHWH → κύριος (Kyrios, „უფალი“), Elohim → Θεός (Theos, „ღმერთი“).

მიჩნეულია, რომ ქართული ბიბლიური თარგმანები (ძირითადად, საეკლესიო-ბერძნული ტრადიციის გავლენით) ხშირად სწორედ ამ მოდელს მიჰყვება: κύριος → „უფალი“, Θεός → „ღმერთი“. გაანალიზებულია „ღმერთისა“ და „უფლის“ სემიოტიკა ქართული ბიბლიური თარგმანების მიხედვით კონტექსტუა-

ლურად და შედარებულია ანალოგიურ ებრაულ და ბერძნულ კონტექსტებთან. გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ბერძნული ტექსტია მიჩნეული შუამავლად, ქართული თარგმანი ხშირად მიჰყვება ებრაულ აზროვნებას და არა ბერძნულ სიტყვას. ქართულად ნათარგმნი ბიბლიის პირველწყარო ებრაული უნდა იყოს.

The paper analyzes the semiotics of the lexical units “*God*” and “*Lord*” in Georgian Apostolic texts. It examines how the corresponding Hebrew and Greek lexical units denoting “*God*” and “*Lord*” are reflected in the Georgian translation of the Bible. The study investigates how the sign (the words *God* and *Lord*) relates to meaning from the perspectives of form, seme, and referent; it also explores how the lexemes *God* and *Lord* function in context in Georgian, Hebrew, and Greek – how the same sign is interpreted differently in various situations, how sign systems and codes operate within religious vocabulary, and how the Georgian language interprets the Hebrew and Greek semiotics of “*God*” and “*Lord*” in Apostolic texts from the viewpoints of syntax (the relationship between these units), semantics (the relationship between word and meaning), and pragmatics (use in real communication, intention, context, and effect).

Based on the semiotic analysis of Georgian Apostolic texts, it is demonstrated that “*God*” and “*Lord*” refer to two different types of names: the former (*God*) functions as a common noun, whereas the latter (*Lord*) functions as a proper name or personal identifier, carrying a distinct pragmatic load in the text – serving functions related to reverence, taboo, liturgical tradition, and intertextual “code.” The study also analyzes how this semiotics corresponds to Hebrew and Greek layers of the text. Biblical sources frequently contain two principal forms: יהוה (YHWH), the “personal” name of God, and **אֱלֹהִים** (*Elohim*), denoting *God* as a general appellative. In Greek, the standard translational pair is YHWH → κύριος (*Kyrios*, “*Lord*”) and *Elohim* → θεός (*Theos*, “*God*”).

It is argued that Georgian biblical translations – largely influenced by the ecclesiastical Greek tradition – generally follow this model: κύριος

→ “*Lord*”, θεός → “*God*.” The semiotics of “*God*” and “*Lord*” in Georgian biblical translations are analyzed contextually and compared with their Hebrew and Greek counterparts. The paper advances the view that, despite the formal mediation of the Greek text, the Georgian translation often follows Hebrew conceptual thinking rather than Greek lexical expression. Consequently, the primary source underlying the Georgian translation of the Bible should be considered Hebrew.

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ივრითის ისტორიული ტრანფორმაცია და
თანამედროვე ებრაისტიკა**

**The Historical Transformation of Hebrew and Modern
Hebrew Studies**

საკვანძო სიტყვები: ენის ისტორიული სპეციფიკა, ისრაელის ივრითი

Keywords: The Historical Specificity of the Hebrew Language, Israeli Hebrew

ებრაულმა ენამ, რომელიც მე-18 საუკუნემდე მხოლოდ „წიგნის ენა“ იყო, განვლო განვითარების მტკივნეული და რთული პროცესები, სანამ იქცეოდა ისრაელის სახელმწიფო ენად.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან გაჩნდა ახალი მიდგომები ივრითის გენეზისის შესახებ. ჯერ კიდევ 50-იან წლებში მოღვაწე **ხაიმ როზენს** მიაჩნდა, რომ ბიბლიის ენის არქაული ნორმები არ უნდა ყოფილიყო კანონი თანამედროვე ენისათვის, რომ ისრაელის ებრაული არ უნდა გაიგივდეს ბიბლიის ენასთან, რადგან ის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ენაა. სწორედ მან დაუდო სათავე ისრაელელი რევიზიონისტი ებრაისტების სკოლას, რომელთა წარმომადგენლები არიან იულია ხორვატი, პოლ ვექსლერი და, მათ შორის ყველაზე ცნობილი ენათმეცნიერი, **გილად ცუკერმანი**. ამ უკანასკნელის თეორიის თანახმად, ისრაელის ივრითი არის ჰიბრიდული ენა, ერთდროულად სემიტურიც და ინდოევროპულიც, მისი ძირითადი წყაროებია ბიბლიის ებრაული და იდიში. ასევე, მეორად კონტრიბუტორ ენებად მიჩნეულია არაბული, რუსული, ლადინო, ინგლისური. მისივე თეორიით, თანამედროვე ისრაელურმა ლინგვისტიკამ უნდა გადახედოს ენის შესახებ არსებულ მიდგომებს, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ივრითი იგივე ბიბლიის ენაა. ისრაელის ივრითის ბინარული ბუნება მოითხოვს ახლებურ შესწავლას ისტორიულ, სოციოლინგვისტურ, ტიპოლოგიურ კონტექსტში.

Modern Hebrew is the standardized, spoken form of Hebrew used today in Israel.

In the 1990s, new approaches to the genesis of modern Hebrew challenged the traditional narrative and the sole “continuity” theory, focusing instead on modern Hebrew as a hybrid language influenced by multiple source languages.

Overall, the 1990s saw a shift towards viewing modern Hebrew as a complex sociolinguistic phenomenon, focusing on the impact of speaker communities’ native languages and the processes of language contact and hybridity in its formation.

Ghil'ad Zuckermann is an Israeli-born linguist known for his theory that Israeli Hebrew is a hybrid language, not purely Semitic, but a mix of Hebrew, Yiddish, and European languages.

He argues for renaming it "Israeli" to reflect its mixed heritage, contrasting with the traditional view of modern Hebrew as a pure revival of biblical Hebrew, a perspective that has generated debate.

ნაირა ბეპიევი

Naira Bepiev

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი/TSU
Scientific-Research Institute of Georgian-Ossetian Relations

**სახარების ოსურ ენაზე თარგმნის ისტორიიდან:
იოანე იალღუზიდის თარგმანი**

**The History of Gospel Translation into Ossetian:
The Translation by Ioane Ialghuzidze**

საკვანძო სიტყვები: სახარება ოსურ ენაზე, იოანე იალღუზიძე,
ქართულ-ოსური ურთიერთობები

Keywords: Gospel in Ossetian, Ioane Yalghuzidze, Georgian-Ossetian relations

იოანე იალღუზიძე იყო პოეტი, ოსური დამწერლობის შემდგენელი (ქართული გრაფიკის საფუძველზე), ჩვენამდე მოღწეული პირველი ოსური ხელნაწერის (სამენოვანი რუსულ-ქართულ-ოსური ხელნაწერი – 1802 წ) ავტორი, ქართულ წიგნთა გადამწერი, თბილისის სასულიერო სემინარიის ქართული და ოსური ენების პედაგოგი, მრავალი სასულიერო წიგნის მთარგმნელი. იგი თარგმნიდა, ძირითადად, ქართულიდან ოსურ ენაზე.

იოანე იალღუზიძეს ქართულიდან ოსურ ენაზე უთარგმნია ოთხთავი, რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია სამ ეგზემპლარად: საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივსა და მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

იოანეს უთარგმნია კიდევ ორი სასულიერო წიგნი: „სადმრთო ლიტურგია“ (დაიბეჭდა მოსკოვში 1821 წელს 600 ეგზემპლარში) და „გამოკრებილი კურთხევანი“ (წესი წმიდისა ნათლისღებისა, წინდობისა, ქორწინებისა და დაფლვისა, დაიბეჭდა 1824 წელს, ტირაჟი 500 ეგზემპლარში). ორივე წიგნი დაიბეჭდა მოსკოვში.

როგორც ირკვევა, იოანე იალღუზიძე სასულიერო წიგნებს წერდა მხედრული ანბანით, მაგრამ იბეჭდებოდა ხუცურით, ეს კი მრავალ უზუსტობას იწვევდა, რაც ამ წიგნებში იკითხება.

იოანე იალღუზიძეს უთარგმნია ქართულიდან ოსურად ოთხთავი, რომელიც დაცულია სამი ხელნაწერის სახით. ეს ხელნაწერები დაცულია თბილისში (პირველი ვარიანტი), პეტერბურგსა (ჩასწორებული) და მოსკოვში (სასტამბოდ გამზადებული). 1927 წელს ვ. აბაევს გ. ახვლედიანისთვის გამოუგზავნია ოსური ოთხთავის ხელნაწერის ფოტოპირი. ეს ხელნაწერი შესრულებულია 1823 წელს. ამ ხელნაწერის გრაფიკულმა შეჯერებამ 1802 წლის ხელნაწერთან ცხადყო, რომ ამ უკანასკნელის ავტორიც ი. იალღუზიძე იყო.

თუ როგორი კეთილსინდისიერებით ეკიდებოდა ი. იალღუზიძე წმინდა წიგნთა თარგმნას, მისივე დაწერილი რაპორტიდანაც ირკვევა: როგორც იოანე აღნიშნავს, შალვა ერისთავს, გიორგი ბიბილუროვსა და იოანე იალღუზიძეს შეუკრებიათ პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსები და მათთვის წაუკითხავთ სახარება.

1820-24 წლებში დაიბეჭდა იოანე იალღუზიდის მიერ თარგმნილი საეკლესიო წიგნები – ლოცვანი (საცისკრონი და სამწუხრონი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლა). დაიბეჭდა თბილისში 1820 წელს.

საღმრთო ლიტურდია დაიბეჭდა თბილისში 1821 წელს.

გამოკრებილი კურთხევანი (წესი წმიდისა ნათლისღებისა, წინდობისა, ქორწინებისა და დაფლვისა) დაიბეჭდა მოსკოვში 1824 წელს. ყველა ჩამოთვლილი წიგნი ორენოვანია, ქართულ-ოსური და დაბეჭდილია ქართული (ნუსხური) ასოებით.

იოანე იალღუზიდის თარგმნილი სახარება არ დაბეჭდილა.

Ioane Ialghuzidze was a poet, one of the founders of the Ossetian script based on the Georgian alphabet, and the author of the first known Ossetian manuscript (Russo-Georgian-Ossetian, 1802). He was an editor of Georgian books, a teacher of Georgian and Ossetian languages at Tbilisi Theological Seminary, and a translator of major ecclesiastical works. Ialghuzidze translated texts from Georgian into Ossetian.

Among his translations is the *Four Gospels*, preserved in three manuscript copies: in the National Archives of Georgia, in the St Petersburg Archive of the Institute of Oriental Manuscripts (formerly the Institute of the Peoples of Asia), and in the Central State Archive of Moscow. Additionally, he translated two theological books: *Sacred Liturgy* (published in Moscow, 1821, 600 copies) and *Concise Church Rules* (published in 1824, 500 copies), both printed in Moscow.

Ialghuzidze's manuscripts were prepared in cursive script but often contained orthographic inconsistencies, reflecting the challenges of early Ossetian writing. His translations preserved both Georgian linguistic structures and Ossetian linguistic forms. In 1927, V. Abaev sent a photostat of one manuscript to G. Akhvlediani, confirming its 1823 origin and Ialghuzidze's authorship.

Between 1820 and 1824, Ialghuzidze produced several ecclesiastical texts, including prayer books, catechisms, and instructional materials for

Christian practice, all bilingual in Georgian and Ossetian. However, his translation of the Gospel itself was never published.

This study examines the historical, linguistic, and cultural significance of Ioane Jalghuzidze's contributions to Ossetian biblical translation and Georgian-Ossetian literary relations.

მამუკა ბუცხრიკიძე

Mamuka Butskhrikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ისრაელი თუ ისრაელელი?

Israel or Israeli?

საკვანძო სიტყვები: ისრაელი, ავტორი, შთამომავლობა

Keywords: Israel, author, descendants

ორიათასიან წლებში ხანგრძლივი დისკუსია იყო გამართული აკადემიკოს კონსტანტინე წერეთელსა და ისრაელში მოღვაწე ქართველ ებრაელ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთა (მათ შორის, ქ-ნ თამარ მამისთვალაძე-კუჭერაშვილს) შორის. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის მტკიცებით, სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა „ისრაელელი“ უნდა გვეწარმოებინა სახელზე „ისრაელ“ სადაურობის მაწარმოებელი „-ელ“ სუფიქსის დართვით, მისი ოპონენტები კი აცხადებდნენ, რომ სიტყვა „ისრაელი“ არ საჭიროებდა „-ელ“ სუფიქსის დართვას და ეს ტერმინი თავისთავად მიუთითებდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილთან კავშირზე. შესაბამისად, უნდა გვექონოდა შესიტყვებები: „ისრაელი ავტორი“, „ისრაელი მუსიკოსი“ და ა.შ. და არა „ისრაელელი ავტორი“, „ისრაელელი მუსიკოსი“. სხვათა შორის, მსგავს აზრზე ბევრი ქართველი ფილოლოგი და ენათმეცნიერიც იყო. მიმაჩნია, რომ გარდა წმინდა ენობრივი საფუძვლისა, აკად. კონსტანტინე წერეთლის პოზიციას ამყარებს აგრეთვე საკითხის იდეოლოგიურ პრიზმაში დანახვა. შესიტყვებაში „ისრაელი ავტორი“ მსაზღვრელი „ისრაელი“, უდავოდ, ატარებს იდეურ შეფერილობას. დაბადების წიგნიდან ცნობილია, რომ იაკობისათვის ღმერთის მიერ შერქმეული მეორე სახელი „ისრაელი“, რაც ღმერთთან მორკინაღს ნიშნავს, გავრცელდა მთელ მის შთამომავლობაზე. ტერმინს „ისრაელი“ აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე – კრებითი მნიშვნელობა. იგი შეიძლება წარმოადგენდეს ერთეულ ინდივიდს იაკობის მოდგმიდან და აგრეთვე მთელ ებრაელ ერს. ტერმინი „ისრაელი“ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ერთგვარი ტიტული, ღვთიური კურთხევისა და რჩეულობის გამომხატველი. ამდენად, შესიტყვებაში „ისრაელი ავტორი“ ზედსართავული ელემენტი აშკარად ატარებს რელიგიურ-იდეურ კონოტაციას. ვფიქრობ, აღნიშნული ტერმინი ბევრად მეტ სიახლოვეს ავლენს რელიგიურ ტერმინთან „იუდეველი“, ვიდრე თუნდაც ეთნიკურ ტერმინთან „ებრაელი“. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ებრაულ ენაში (ივრითში) აღნიშნული ზედსართავული კომპონენტი აბსოლუტურად ნეიტრალურია რელიგიურ-იდეური ასპექტით (Isreeli). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისრაელის სახელმწიფოს აღორძინებამ ებრაელთა

ისტორიულ მიწა-წყალზე აბსოლუტურად შეცვალა ებრაული იდენტობის გაგება და იმ მოცემულობას, რომ თანამედროვე ისრაელის საზოგადოების უმრავლესობას სეკულარული მსოფლმხედველობის მქონე ე.წ. ხილონები წარმოადგენენ, დავრწმუნდებით, რაოდენ არარელევანტურია, ნეიტრალური Isreeli-ის გადმოსაცემად გამოგვეყენებინა თეოლოგიურად დამძიმებული „ისრაელ“.

In the 2000s, a long discussion was held between Academician Konstantine Tsereteli and Georgian Jewish writers and public figures working in Israel (including Ms. Tamar Mamistvalov-Kezerashvili). According to Academician Konstantine Tsereteli, the word denoting the subject – “Israeli” should be formed by adding the suffix “-el” to the noun “Israel”. His opponents, however, claimed that the word “Israel” did not require the suffix “-el” and that this term itself indicated a connection with a specific geographical location. Accordingly, we should have the following expressions: “Israel author”, “Israel musician”, etc., and not “Israeli author”, “Israeli musician”. By the way, many Georgian philologists and linguists were of a similar opinion. I believe that in addition to the purely linguistic basis, the position of Acad. Konstantine Tsereteli is also supported by viewing the issue through an ideological prism. In the phrase “Israel author”, the determiner “Israel” undoubtedly carries an ideological connotation. It is known from the Book of Genesis that the second name given to Jacob by God, “Israel”, which means “Fighter with God”, was extended to all his descendants.

The term “Israel” has both an individual and a collective meaning. It can represent a single individual from the lineage of Jacob, as well as the entire Jewish nation. The term “Israel” can be understood as a kind of title, expressing divine blessing and choice. Thus, in the phrase “Israel author” the adjective element clearly carries a religious-ideological connotation. I think that the mentioned term is much closer to the religious term “იუდეველი” than even to the ethnic term “ებრაელი”. The thing is that in modern Hebrew (Ivrit) the mentioned adjective component is absolutely neutral in terms of religious-ideological aspect (Isreeli). If we

take into account the fact that the revival of the State of Israel on the historical land of the Jews has completely changed the understanding of Jewish identity, and the fact that the majority of modern Israeli society is represented by the so-called Khilons with a secular worldview, we will be convinced of how irrelevant the use of the theologically burdened "Israel" to convey the neutral "Isreeli" is.

დარეჯან გარდავაძე

Darejan Gardavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კაენისა და აბელის ბიბლიური დრამა

იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“

**The Biblical Drama of Cain and Abel by Ibrahim Al-Koni in his
Novel “The Bleeding of the Stone”**

საკვანძო სიტყვები: კაენი, აბელი, იბრაჰიმ ალ-ქუნი, რომანი
„ქვიდან ნაჟური სისხლი“

Keywords: Cain, Abel, Ibrahim Al-Koni, novel “The Bleeding of the Stone”

იბრაჰიმ ალ-ქუნი რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“ ბიბლიურ მინიშნებებს მიმართავს. აქ კაენისა და აბელის ბიბლიურ-მითიურ ამბები ლიბიის უდაბნოში ვითარდება. პირველი ბიბლიური მკვლელობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უფალმა კეთილგანწყობით მიიღო აბელის საჩუქარი და კაენსა და მის ძღვენს მსგავსად არ მოეპყრო, ანუ აბელისა და კაენის ტრაგიკულ ისტორიაში ორი შეუთავსებელი კულტურა – მწყემსობა და დასახლებული ცხოვრება – ერთმანეთს დაუპირისპირდა. უფალმა უარყო მიწის მკვიდრი, მიწათმოქმედი და მოხეტიალე მწყემსი აირჩია. ამრიგად, ესქატოლოგიური შინაარსის მქონე მომთაბარე მწყემსობა ღვთისგან არის კურთხეული.

უფალი უპირატესობას ანიჭებს მომთაბარე ადამიანებს და თავისუფალ სულს კარავში ხედავს. უდაბნო განმარტოების, თვითშემეცნებისა და, ამავე დროს, ღმერთის თაყვანისცემის ადგილია. როგორც მარადიული გზა, უდაბნო სულიერებითაა ანაბეჭდილი და უპირისპირდება ხორციელ, დასახლებულ ცხოვრებას, როგორც დაცემული სამყაროს სიმბოლოს. რომანის მთავარი გმირი, ღვთისმომშიში ასუფი, თხის მწყემსია, რომელიც პრიმიტიული ცხოვრების წესით ცხოვრობს, შორს ადამიანური საზოგადოებისგან. მისი ანტაგონისტი, კაენი, ადამის ვაჟი, რომელიც ჩვილობაში ობოლი დარჩა და ქურციკის სისხლით გაიზარდა, არის უმი ხორცის მჭამელი და სისხლისმსმელი, წითელი ჰამადის უდაბნოში ქურციკების ჯოგის მომაკვდინებელი, ბოროტმოქმედი და მკვლელი. სინამდვილეში, ის არის ეშმაკი, რომელსაც ადამიანად მოიხსენიებენ, უდაბნოს ყველაზე დაუნდობელი მტერი.

ავტორმა ეს რომანი, ძირითადად, შავისა და თეთრის კონტრასტებზე ააგო – არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო დასაწყისი, ორი ფუნდამენტურად განსხვავებული საწყისი: სიკეთე და ბოროტება, სინათლე და სიბნელე, სიმართლე და ცრუ მოძღვრება. კოსმიური დრამა ამ ორი მტრული დასაწყისის დაუსრულებელ ბრძოლაში ვლინდება. ლიბიის უდაბნოში განვითარებული ამ ბიბლიური დრამის ჯალათიც და მსხვერპლიც ბედისწერის წინასწარ განჩინებას ემორჩილებიან. ათასობით წლის შემდეგ, ღვთის რჩეული კვლავ მოხეტიალე მწყემსია, რომლის სისხლი სასწაულებრივად ჩამორეცხავს ცოდვებს და განწმენდს მიწას.

Ibrahim Al-Koni turns to biblical allusions in the novel "The Bleeding of the Stone". Here the biblical myth of Cain and Abel unfolds in the Libyan Desert. The main reason for the first biblical murder is that the Lord graciously accepted Abel's gift and did not treat Cain and his gift similarly. In the tragic story of Abel and Cain, two incompatible cultures – shepherding and settled life–clashed against each other. The Lord rejected the farmer, the inhabitant of the land, and chose the wandering shepherd. Thus, nomadic shepherding with eschatological content is blessed by God.

The Lord prefers men to be nomadic and sees a free spirit in a tent. A desert is a place of seclusion, self-discovery, and at the same time, a place to worship God. As an eternal path, the desert is imprinted with spirituality and contrasts with carnal, settled life as a symbol of the fallen world.

The protagonist of the novel, Asuf is a god-fearing goatherd living a primitive lifestyle far from human society. His antagonist Cain, son of Adam, who was orphaned in his infancy, and was raised with the blood of gazelle; is an eater of raw meat and drinker of blood, a killer of the herd of gazelles in the Red Hamada Desert, a villain and a murderer. In fact, he is a devil referred to as the man, the most ruthless enemy of the desert.

The author has built this novel mainly on the contrasts of black and white, opposing pairs – there are two mutually opposite beginnings, two fundamentally different substances: good and evil, light and dark, truth and false doctrine; the cosmic drama is manifested in the never-ending struggle of these two hostile beginnings.

Both the executioner and the victim of this biblical drama set in the Libyan Desert, obey the predestination of fate. Thousands of years later, God's chosen one is still a wandering shepherd whose blood miraculously washes away sins and cleanses the land.

ნინო გიორგაძე

Nino Giorgadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი/TSU Center for Eastern
Christian Studies

**ძველი ბერძნული ἄντι-ის გადმოტანის საშუალებები//
ხერხები მცირე წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ და
სომხურ ვერსიებში**

**The Rendering of Old Greek ἄντι in the Old Georgian and
Armenian Versions of the Minor Prophets**

საკვანძო სიტყვები: მცირე წინასწარმეტყველები, სეპტუაგინტა,
ძველი ქართული ბიბლია, ძველი სომხური ბიბლია,
ძველი ბერძნული ἄντι, თარგმანის ტექნიკა

Keywords: Minor Prophets, Septuagint, Old Georgian Bible,
Old Armenian Bible, Old Greek ἄντι, Translation Technique

ძველი ბერძნული **ἀντί** მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში გვევლინება სხვადასხვა ფუნქციით: წინდებულად, რომელიც სახელს მართავს გენეტივში, ზმნისწინად და შესიტყვებაში **ἀνθ' ἑᾶν**.

როგორც წინდებულმა, სხვა ბერძნულ წინდებულთა მსგავსად, **ἀντί**-მაც დროთა განმავლობაში არაერთი სემანტიკური ცვლილება განიცადა. მიუხედავად ამისა, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში მისი ძირითადი მნიშვნელობაა **ნაცვლად/მაგიერ**.

ჩვენი მოხსენების მიზანია, ძველი ბერძნული **ἀντί**-ის ეკვივალენტების სისტემური ანალიზი მცირე წინასწარმეტყველთა როგორც ძველ ქართულ, ისე ძველ სომხურ ვერსიებში. შესაბამისად, განვიხილავთ **ἀντί**-ის გამოყენების ყველა შესაძლო შემთხვევას, რათა დავადგინოთ:

1. რამდენად სისტემურია ქართველი და სომეხი მთარგმნელი ეკვივალენტთა შერჩევასა;

2. რამდენად განარჩევენ მთარგმნელები **ἀντί**-ის წინდებულად, ზმნისწინად თუ შესიტყვების ნაწილად გამოყენების შემთხვევებს და როგორ აისახება ეს თარგმანში.

საბოლოოდ, წარმოვაჩინოთ, თუ რა მასალას იძლევა აღნიშნული ლექსიკური ერთეულის თარგმანის შესწავლა ქართული თარგმანის წარმომავლობის, მთარგმნელობითი ტექნიკისა და ენის განვითარების კვლევისთვის.

In the books of the Minor Prophets, the Ancient Greek **ἀντί** appears in several distinct grammatical functions: as a preposition governing the genitive case, as a verbal prefix, and as part of the **ἀνθ' ἑᾶν**.

As is the case with many Greek prepositions, **ἀντί** underwent several semantic developments over time, extending beyond its original spatial sense to express various abstract relations. Nevertheless, in the Minor Prophets its predominant meaning remains *“instead of”* or *“in place of.”*

The present paper investigates the rendering of Ancient Greek **ἀντί** in the Old Georgian and Old Armenian versions of the Minor Prophets, with particular attention to the translators' handling of its semantic and

syntactic range. By examining all occurrences of **ἀντί** in the Greek text and their corresponding equivalents in the two target languages, this study aims to determine:

1. how systematic Georgian and Armenian translators are in their choice of equivalents;

2. whether the translators consistently distinguish between cases in which **ἀντί** functions as a preposition, as a verbal prefix, or as part of **ἀνθ' ὧν**, and how these distinctions are reflected or obscured in the translations.

Finally, the paper considers the relevance of the translation of **ἀντί** for broader questions concerning the origin and translation technique of the Old Georgian version of the Minor Prophets.

ლალი გულედანი

Lali Guledani

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ilia State University, Ivane
Javakhishvili Tbilisi State University

**ტრაქტატ „პირკეი ავოთის“ შეგონებების (ფრ' აבות)
ბიბლიურ ფრაზებთან მიმართება**

**The Relation of the Exhortations of Tractate “Pirkei Avot”
(ფრ' აבות) to Biblical Phrases**

საკვანძო სიტყვები: სწავლება-შეგონებანი, ეთიკური, მორალური,
ბიბლიური ფრაზები

Keywords: teaching-admonitions, ethical, moral, biblical phrases

„პირველი ავოთ“ (ებრ. פּרָק' אַבּוּת – სიტყვასიტყვით „მამათა თავები (წიგნის)“, თავისუფალი თარგმანით – „მამათა სწავლებანი“, „მამათა შეგონებანი“) მიშნის მცირე ზომის, მაგრამ შინაარსით მდიდარი ტრაქტატია.

ცნობილია, რომ მიშნის პერიოდის ლიტერატურა ძირითადად იურიდიული და რელიგიური ხასიათისაა და იქმნებოდა ძვ. წ. II-ახ.წ. III საუკუნეებში. ტრაქტატი „პირველი ავოთ“ არის რელიგიური და მორალური გამონათქვამების, სწავლებებისა და აფორიზმების კრებული, რომელიც დიდაქტიკური ხასიათისაა და გამოხატავს მიშნის პერიოდის ავტორების მსოფლმხედველობას. იგი „მიშნას“ სხვა ტრაქტატებისგან განსხვავებით გამორჩეულია იმით, რომ მთლიანად შედგება მორალური და ეთიკური სწავლებებისგან და არ შეიცავს ჰალახას (რელიგიურ კანონებს), ასევე არ შეიცავს პრაქტიკულ მითითებებს, არამედ ქადაგებს ზნეობრივ და ქცევის ნორმებსა და მაღალზნეობრივ სულიერ თვისებებს.

მიშნას ტრაქტატი „პირველი ავოთ“ 5 თავისა და 98 პარაგრაფისგან შედგება. იგი შეიცავს მიშნის ეპოქის ბრძენთა გამონათქვამებს სიმონ მართალიდან გამლიელ III-მდე (მიშნას შემდგენელის იუდა ჰა-ნასის შვილი). ტექსტის ბოლო სამი აბზაცი მოგვიანებით არის დამატებული. ტრაქტატის გამოცემათა უმეტესობაში ასევე დართულია დამატებითი თავი „თორას შეძენა“ (קַאֲוִי תּוֹרָה), რომელიც ეძღვნება არა მორალურ და ეთიკურ საკითხებს, არამედ თორას შესწავლას. ბრძენთა გამონათქვამების თანმიმდევრობა სტრუქტურირებულია ქრონოლოგიურად.

„მიშნას“ კრებულში ტრაქტატების განლაგება არ არის თანმიმდევრული. მოულოდნელია მეოთხე სედერში (אָרְבֵּי) ისეთი თხზულების ჩართვა, როგორცაა ე.წ. „პირველი ავოთ/მამათა შეგონებანი“, რომელშიც, როგორც აღინიშნა, თავმოყრილია სხვადასხვა დროს მოღვაწე ბრძენთა ზნეობრივი შეგონებები, დიდაქტიკა, სენტეციები.

შეგონებებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სწორედ თორასთან და მის სწავლებასთან დაკავშირებული გამონათქვამებია, თუმცა შეგონებანი, იდეურ-თემატური თვალსაზრისით, მაინც მრავალფეროვნად გამოიყურება: ღვთისმომშიშებისა და ღვთი-

სადმი ვალდებულებების შემცველი ქადაგებანი, ბრძენთა და სიბრძნესთან მიმართებაში გამოთქმული შეგონებანი, სამართალსა და სამართლიანობასთან დაკავშირებული იდეები, ადამიანის პასუხისმგებლობისა და სამაგიეროს მიზღვის თემა, მეგობრობის თემასთან დაკავშირებული ფრაზები, ადამიანის ხასიათისა და თვისებების გამომხატველი შეგონებანი, საკუთარი ღირსების შენარჩუნების ქადაგება, შრომის შესახებ მსჯელობა და სხვა მრავალი სიბრძნის შემცველი ქადაგება.

„პირკეი ავოთის“ ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა. იგი შესწავლილია სხვადასხვა კუთხით. განსაკუთრებით საინტერესოა „პირკეი ავოთის“ ბიბლიასთან მიმართების კვლევა. როგორც აღინიშნა, შეგონებების ყველაზე დიდი ნაწილი თორასთან და მისი სწავლების აუცილებლობასთან დაკავშირებული გამონათქვამებია, რაც თავისთავად განაპირობებს ქადაგებების მჭიდრო კავშირს ბიბლიასთან. თორაში განსწავლული ბრძენი მამები ხშირად ქადაგებებშივე მიანიშნებენ ბიბლიურ წყაროს. არის ისეთი შეგონებებიც, რომელთა ბიბლიური წყარო გამჭვირვალედ არ იკვეთება და ბიბლიური პარალელების დასადგენად მეტი დაკვირვება და დეტალური კვლევაა საჭირო.

მოხსენების კვლევის მიზანი „პირკეი ავოთის“ შეგონებებსა და მათ ბიბლიურ წყაროსთან მიმართებების დადგენაა. წარმოდგენილია ნიმუშები, ჩვენეული თარგმანებით შეპირისპირებულია ტექსტები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. „პირკეი ავოთში“ მოცემული შეგონებების შედარება მათ შესაბამის ბიბლიურ ტექსტებთან აჩვენებს, რომ ეს ბიბლიური ფრაზები „მამათა შეგონებების“ ტექსტებში თითქმის ერთი და იმავე შინაარსით (ან მცირე განსხვავებებით) არის წარმოდგენილი.

“Pirkei Avot” (Hebrew: פירקי אבות – literally “Chapters (of the Book) of the Fathers”, loosely translated as “Teachings of the Fathers” or “Admonitions of the Fathers”) is a small but content-rich tractate of the Mishnah. It is known that the literature of the Mishnah period is primarily legal and religious in nature and was created between the 2nd

century BC and the 3rd century AD. The tractate “Pirkei Avot” is a collection of religious and moral sayings, teachings, and aphorisms, which are didactic in nature and express the worldview of the authors from the Mishnah period. It is distinct from other tractates of the Mishnah because it consists entirely of moral and ethical teachings and does not contain halakha (religious laws). Additionally, it does not provide practical instructions but instead promotes moral and behavioral norms and high spiritual qualities.

The Mishnah tractate “Pirkei Avot” consists of five chapters and 98 paragraphs. It contains the sayings of the sages of the Mishnah era, from Simeon the Righteous to Gamaliel III (the son of the compiler of the Mishnah, Judah Ha-Nasi). The last three paragraphs of the text were added later, and most editions of the tractate also include an additional chapter titled “Acquisition of the Torah” (הרות וייניק), which is devoted not to moral and ethical issues but to the study of the Torah. The sequence of the sayings of the sages is structured chronologically.

The arrangement of the tractates in the collection of the Mishnah is not consistent. It is unexpected to include within the fourth seder (Nazikin) such a work as the so-called “Pirkei Avot/Admonitions of the Fathers,” which, as mentioned, contains moral admonitions, didactic teachings, and sayings of sages from different times.

Among the admonitions, the most numerous are sayings related to the Torah and its teachings, although the admonitions appear to be diverse in ideological and thematic terms: sermons containing obligations to God and the God-fearing, admonitions expressed in relation to the wise and wisdom, sayings related to justice and fairness, discussions about human responsibility and retribution, admonitions concerning friendship, expressions of human character and qualities, sermons on preserving one’s dignity, discussions about work, and many other teachings containing wisdom.

“Pirkei Avot” is interesting in many ways. It has been studied from various angles. The study of the relationship between this text and the Bible is both intriguing and fascinating. As noted, the largest part of the exhortations consists of sayings related to the Torah and the necessity

of its teaching, which in itself indicates a close connection between the sermons and the Bible. The wise fathers, educated in the Torah, often cite the biblical source in their sermons. However, there are also exhortations whose biblical sources are not clearly visible, requiring further observation and detailed research to establish biblical parallels.

Our research aims to identify the relationships between the admonitions and their biblical sources. This study presents examples, compares the texts with our own translations, and draws appropriate conclusions.

The comparison of the exhortations in “Pirkei Avot” with their corresponding biblical texts shows that these biblical phrases are presented in the texts of “Pirkei Avot” with almost the same content (or with minor differences).

ქეთევან კაკიტელაშვილი
Ketevan Kakitelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**გასაბჭოება და ებრაული იდენტობის მოდელის
ცვლილება საქართველოში 1920-1930-იან წლებში¹**

**Sovietization and the Shift in the Jewish Identity model in
Georgia in the 1920s-1930s²**

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, იდენტობა, ღარებკომი,
სეკულარიზაცია

Keywords: Georgian Jews, identity, Evkombed, secularization

- 1 ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ებრაული იდენტობა საქართველოში: საბჭოთა ტრანსფორმაცია (1921-1941)“ (FR 23-8490) ფარგლებში.
- 2 The paper was carried out in the framework of the project “Jewish Identity in Georgia: Soviet Transformation (1921-1941)” (FR 23-8490) supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ საქართველოში მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. ქართველი ებრაელების იდენტობის მოდელი, რომლის უმთავრესი მსაზღვრელი რელიგია იყო, ისევე, როგორც მათი სოციალურ-ეკონომიკური პოზიცია, რომელიც სხვადასხვა მასშტაბის სავაჭრო საქმიანობას უკავშირდებოდა, არათავსებადი აღმოჩნდა ახალ სახელმწიფო იდეოლოგიასთან.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოდერნიზაციის კვალდაკვალ, ებრაული თემში თანდათან დაიწყო სოციალური ინტეგრაციის პროცესის გააქტიურება, თუმცა ებრაული თემის ძირითადი ნაწილის ცხოვრება სინაგოგის გარშემო იყო კონცენტრირებული. სინაგოგა საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგაც ინარჩუნებდა სოციალური და რელიგიური ცენტრის ფუნქციას: უზრუნველყოფდა თემს ქაშერი ხორციითა და ღვინით, მაცით, რიტუალური მომსახურებით; თემში შეკრებილი შემოწირულობები ხმარდებოდა მოხუცების, ავადმყოფების, ხელმოკლეთა და არაშრომისუნარიანთა საჭიროებებს; სინაგოგა იყო მედიუმი, რომელიც განსაზღვრავდა თემის დამოკიდებულებას ხელისუფლების მიერ გატარებული სამეურნეო და ეკონომიკური პოლიტიკისადმი და აყალიბებდა მის აზრს პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას გაცნობიერებული ჰქონდა რელიგიისა და სინაგოგის მნიშვნელობა ებრაული თემის თვითიდენტიფიკაციისათვის. შესაბამისად, მიიჩნეოდა, რომ მათ შორის ანტირელიგიური პროპაგანდა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეწარმოებინათ იმისათვის, რომ ის არ ყოფილიყო აღქმული ებრაელთა ეროვნულ შევიწროებად. ქართველ ებრაელთა „რელიგიური ცრურწმენებისაგან“ გასათავისუფლებლად და „სოციალისტურ მშენებლობაში“ მათ ასაბმელად განსაკუთრებული ზომების მიღება იყო საჭირო. 1920-იანი წლების ბოლოს ებრაული დასახლებებისა და კოლმეურნეობების ჩამოყალიბება ანტირელიგიური კამპანიის ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა რელიგიისაგან გამიჯნული ებრაელი მშრომელისა და ებრაელი გლეხის ჩამოყალიბებას. ამავე მიზნით, 1928 წელს საქართველოს სსრ სო-

ციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი (ღარებკომი), რომელსაც ებრაელთა „საწარმოო შრომაში“ ჩართვა უნდა უზრუნველყო. 1930 წლიდან ღარებკომის განყოფილებები საქართველოს ყველა იმ ქალაქსა და დაბაში გაიხსნა, სადაც ებრაელები სახლობდნენ. ეს კომიტეტი 1936 წელს გაუქმდა.

ამ ნაშრომში ნაჩვენებია ქართველ ებრაელთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციისა და სეკულარიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკა, რომელსაც ღარებკომი ახორციელებდა და მისი გავლენა ქართველ ებრაელთა იდენტობაზე საბჭოთა საქართველოში. ღარებკომის ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიურმა მუშაობამ, შეიძლება ითქვას, გარკვეული გავლენა იქონია ქართველ ებრაელთა იდენტობაზე, თუმცა ეს არ გამოხატულა რელიგიურობის შესუსტებაში. მისი სეკულარიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკა ზედმეტად ხანმოკლე იყო საიმისოდ, რომ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეეტანა ქართველ ებრაელთა თემის სარწმუნოებასთან დამოკიდებულებაში. ამასთან, მის არტელებში გაერთიანებული ებრაელების რაოდენობა, თემის საერთო რიცხოვნობასთან შედარებით, არცთუ დიდი იყო. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ღარებკომის მუშაობამ, უპირველესად კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებით, ქართველ ებრაელთა იდენტობის ეროვნული განზომილების გაძლიერებას შეუწყო ხელი.

After the establishment of Soviet rule, the political and social system based on Marxist-Leninist ideology began to be established in Georgia. The identity model of Georgian Jews, mainly based on religion, as well as their socio-economic position, which was connected to trade activities of various scales, turned out to be incompatible with the new state ideology.

At the beginning of the 20th century, in the wake of the modernization of the economy and public life in Georgia, the process of social integration gradually began in the Jewish community, although the life of the Jewish community was largely concentrated around the synagogue. Even after the establishment of Soviet rule, the synagogues maintained

the function of a social and religious centers: they provided the community with kosher meat and wine, matzah, and ritual services; donations collected within the community were used for the needs of elderly, poor and disabled; the synagogues were the media that determined the attitude of the community towards the economic policies pursued by the government and formed its opinion on political issues.

The Soviet authorities of Georgia were aware of the significant role of religion in the self-identification of the Jewish community. Therefore, it was considered that anti-religious propaganda among them should be carried out with special care so that it would not be perceived as national oppression of Jews. It was necessary to take special measures to “free” Georgian Jews from “religious prejudices” and to involve them in the process of “socialist construction”. The establishment of Jewish settlements and collective farms in the late 1920s was part of an anti-religious campaign aimed at creating a Jewish worker and a Jewish peasant separated from religion. For the same purpose, in 1928, the People’s Commissariat of Social Security of the Georgian SSR established the Committee for Helping Poor Jews of Georgia (Evkombed), which was supposed to ensure employment of Jews in “production labor”. Since 1930, branches of the Evkombed were opened in all cities and towns of Georgia where Jews lived. This committee was abolished in 1936.

This paper shows the policy aimed at the economic, social and cultural transformation and secularization of Georgian Jews, which was implemented by the Evkombed and its impact on the identity of Georgian Jews in Soviet Georgia. It can be assumed that the short but intensive work of the Evkombed had a certain impact on the identity of Georgian Jews, although this did not manifest itself in the weakening of the role of religion among them; its secularization policy was too short-lived to make a significant change in the attitude of the Georgian Jewish community to their faith. Besides, the number of Jews worked in its *artels* was not very large compared to the total number of the community. No matter how paradoxical it may sound the work of the Evkombed, primarily in the cultural, educational and scientific direction, contributed to the strengthening of the national dimension of the identity of Georgian Jews.

თამარ მაგრაქველიძე

Tamar Magrakvelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jer. Geo. 7/11-ის გადამწერის დადგენის ცდა

Attempt to identify the copyist of Jer. Geo 7/11

საკვანძო სიტყვები: ძველი აღთქმა, გადამწერი, შავი მთის
სკრიპტორიუმი

Key words: Old Testament, Scribes, Scriptoria of Black Mountain

ძველი აღთქმის ხელნაწერის – Jer.Geo. 7/11-ის – გადაწერის ადგილად მკვლევრები ჯვრის მონასტერს ასახელებენ, გადამწერად კი – სუმეონ მთაწმინდელს, რადგან ხელწერა, რომლითაც ძველი აღთქმის ტექსტი გადაიწერა, ჰგავს სახარების ხელნაწერის, Jer.Geo. 49-ის, გადამწერისას, რომლის მომგებლად და გადამწერად სუმეონია მიჩნეული. Jer.Geo. 49-ზე დართული ვრცელი ანდერძიდან ირკვევა, რომ სვიმეონი სახარების მომგებელია (Jer. Geo. 49 281vb). ხელნაწერში რამდენიმე ადგილას გვხვდება სვიმეონის მოსახსენებელიც (Jer.Geo. 49 214ra, 215vb), მაგრამ არცერთ მათგანში სვიმეონი გადამწერად მოხსენიებული არ არის. ზუსტად იმავე შინაარსის ვრცელი ანდერძი, ოღონდ მცირე ცვლილებებით, ერთვის ალავერდის ოთხთავსაც (ხეც, A 484), სადაც მომგებლად ისევ სუმეონ მღვდელია დასახელებული (ხეც, A 484 312v). მისი მოსახსენებელი დაწერილია სხვადასხვა ადგილას (ხეც, A 484 152va, 9v). სუმეონის მოსახსენებელი ვატიკანის ოთხთავშიც გვხვდება (Vat. Iber.1 90vb, 221ra). ჩვენ მიერ დასახელებულ წყაროებში, მოსახსენებლის ფორმულებში, სახელ სუმეონს არსად ახლავს გადამწერის მაიდენტიფიცირებელი სიტყვა „ველითა“. შესაბამისად, ძნელი სათქმელია, იყო თუ არა სუმეონ მთაწმინდელი ამავე დროს ამ ხელნაწერთა გადამწერიც. უფრო საფიქრებელია, რომ იგი ყოფილიყო მომგებელი ღედნისა, რომლიდანაც გავრცელდა სხვა ასელები.

Jer.Geo 7/11-ს არ ერთვის ანდერძი, მაგრამ ერთვის რამდენიმე მოსახსენებელი, სადაც ჯვრის მონასტრის მაშენებლის, გიორგი-პროხოროესა (Jer.Geo. 11 53va, 56rb, 193va) და ვინმე მიქაელის (Jer. Geo. 11 159rb) შეწყალებაა ნათხოვნი. Jer.Geo. 7/11 ხელნაწერის გადამწერის ხელწერა ნამდვილად ჰგავს Jer.Geo. 49-ის გადამწერისას, მაგრამ Jer.Geo. 7/11-ის ჩვენამდე მოღწეულ ვერსიაში არსად იხსენიება სუმეონი. ხელნაწერი არც პროხოროეს გადაწერილი არ არის, რადგან მისი ავტოგრაფული ნუსხის (Bodleian Library MS. Georg. b. 1) ხელწერასთან მსგავსებას არ ამჟღავნებს.

პალეოგრაფიული ანალიზი (წერის მანერა, ასოთა მოყვანილობა, დახრილობა) გვიჩვენებს, რომ Jer.Geo. 7/11-ის გადამწერი უნდა იყოს ის, ვინც გადაწერა ალავერდის ოთხთავი. სახარების ამ ხელნაწერის ერთ-ერთი გადამწერი არის გიორგი, რადგან კოლო-

ფონში წერია „გ(ა)ნსრულდა...ჰ(ე)ლითა ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლისა გ(იორგ)ისითა“ (ხეც, A 484 241va) და აგრეთვე, სავარაუდოდ, მიქაელიც, რომელიც გიორგისთან ერთად იხსენიება ვრცელ ანდერძში (ხეც, A 484 314r).

Jer. Geo. 7/11-ის გადამწერი, იმავდროულად, სახარების ტექსტსაც იწერდა, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ Jer. Geo. 11-ის 178v-179r გვერდებზე სვეტების ზომა მცირდება, გვერდების ფორმატი ჰგავს სახარების ხელნაწერის გვერდების ფორმატს.

კოლოფონის მიხედვით, ალავერდის ოთხთავი გადაწერილია შავ მთაზე, ღმრთისმშობლის სავანეში. შესაძლოა, Jer. Geo. 7/11-ის ხელნაწერიც ამავე სკრიპტორიუმში გადაიწერა მე-11 საუკუნის შუა წლებში.

Scholars have identified the Monastery of the Cross as the place where the Old Testament manuscript Jer. Geo. 7/11 was copied. Usually, Simeon the Athonite is considered to be the copyist, since the hand of this OT manuscript resembles that of the Gospel manuscript Jer. Geo. 49, whose donor and scribe is generally believed to have been Simeon. The extensive colophon appended to Jer. Geo. 49 confirms that Simeon was the donor of the Gospel manuscript (Jer. Geo. 49, 281vb). Several commemorative notes within the manuscript also mention Simeon (Jer. Geo. 49, 214ra; 215vb); however, none of these explicitly identifies him as the scribe.

A colophon of identical content, with minor variations, is likewise attached to the Alaverdi Gospels (NCM, A 484), where Simeon the priest is again named as the donor (NCM, A 484, 312v). His name appears in commemorative notes in various parts of the manuscript (NCM, A 484, 152va; 9v). Simeon is also mentioned in the Vaticani Gospels (Vat. Iber. 1, 90vb; 221ra). In all these sources, however, the name Simeon is never accompanied by the scribal formula “ჰელითა” (“by the hand of”). Therefore it remains uncertain whether Simeon the Athonite also was the scribe of these manuscripts. It is more likely that he was the donor of the exemplar from which subsequent copies were made.

The manuscript Jer. Geo. 7/11 does not have a colophon, but it does contain several commemorative notes requesting mercy for George-Prochorus the Iberian, the founder of the Monastery of the Cross (Jer. Geo 11, 53va; 56rb; 193va), as well as for someone named Michael (Jer. Geo. 11, 159rb). Although the hand of the scribe of Jer. Geo. 7/11 closely resembles that of the scribe of Jer. Geo. 49, Simeon is not mentioned anywhere in the extant version of Jer. Geo. 7/11. Nor can the manuscript be attributed to Prochorus, as its script shows no similarity to that of his autograph copy (Bodleian Library, MS. Georg. b. 1).

Palaeographical analysis – taking into account writing style, shape of letters, and ductus – indicates that the scribe of Jer. Geo. 7/11 and Alaverdi Gospels are one and the same. According to the colophon one of the copyists of this Gospel manuscript is George: “It was completed... by the hand of the very sinful George” (NCM, A 484, 241va). Michael was most probably involved as well, as he is mentioned together with George in the extensive colophon (NCM, A 484, 314r).

The scribe of Jer. Geo. 7/11 was evidently engaged simultaneously in copying the text of the Gospels, as demonstrated by the reduction in column width on fols. 178v–179r of Jer. Geo. 11 and by the close correspondence between the page layout of these folios and that of the Gospel manuscript.

According to the colophon, the Alaverdi Gospels was copied on the Black Mountain, in the Monastery of the Mother of God. It is therefore plausible that Jer. Geo. 7/11 was likewise produced in the same scriptorium, most likely in the mid-11th century.

მარინა მეფარიშვილი

Marina Meparishvili

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი / Ilia State University, Giorgi Tsereteli
Institute of Oriental Studies

**სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი საერთოსემიტური
წარმომავლობის რამდენიმე ძველებრაული ლექსიკური
ერთეული**

**The Several Old Hebrew Lexical Units of Common Semitic
Origin Denoting Body Parts**

საკვანძო სიტყვები: სხეულის ნაწილები, ძველებრაული,
სემიტური, 'თავი'

Key words: body parts, Old Hebrew, Semitic, 'head'

მოხსენებაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ეხება სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ თემატურ ჯგუფში გაერთიანებულ საერთოსემიტური წარმომავლობის რამდენიმე ძველებრაულ ლექსიკურ ერთეულს, რომელთაც ეძებნებათ შესატყვისები მონათესავე სემიტურ ენებში ანალოგიური მნიშვნელობებით. ზოგადად, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი მიზანი იყო, გამოვლენილიყო ძირები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე იმ მნიშვნელობით, რომელიც უკავშირდებოდა განსახილველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილები, რომლებიც თავის არეშია განლაგებული. ებრაულის გარდა, ლექსიკური ერთეულები მოძიებულ იქნა ისეთ სემიტურ ენებში, როგორებიცაა არაბული, არამეული, უგარიტული, აქადური, სამხრეთარაბული და ეთიოსემიტური.

მოხსენებაში განხილული მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის შედეგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: გამოვლენილია რამდენიმე ერთეული ებრაული ძირებისა, რომლებიც ხასიათდებიან ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით. ესენია: roš 'თავი', . 'ozen 'ყური', 'ayn 'თვალი', še'ār 'თმა, ბალანი', lešan 'ენა', qeren 'რქა' და šen 'კბილი'. შესაძლებელია შვიდივე მათგანის აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე, მათ შესატყვისება შემდეგი საერთოსემიტური ძირები: r'š 'თავი', 'dln 'ყური', 'yn 'თვალი', š'r 'თმა, ბალანი', lšn 'ენა', qrn 'რქა' და šhn 'კბილი'.

The paper presents some results of research related to the analysis of certain Old Hebrew lexical units of Common Semitic origin, which have corresponding words in different Semitic languages and can be united in the lexical-semantic thematic group denoting different body parts. In general, the comparative analysis of semantic fields and lexical groups in different languages is an important problem of contemporary linguistic studies both from the viewpoint of comparative and typological linguistics. The aim of the study was to reveal and identify the roots which were characterized by wide distribution and correct regular phonetic correspondences; as a result, it would be possible to reconstruct them at the Proto-Semitic level with the meanings associated with the lexical-semantic group under consideration. Of particular interest to us was a thematic subgroup of lexemes denoting body parts of human and animal, located on head area. The considered lexical units had been found in Old Hebrew, as well as in different Semitic languages, particularly in Arabic, Aramaic, Ugaritic, Akkadian, South-Arabian and Ethiopian ones.

Summing up all the language material discussed in the paper, it may be concluded that several Old Hebrew lexemes are revealed and identified as the ones which are characterized by wide distribution and correct regular phonetic correspondences in other Semitic languages; as a result, it would be possible to reconstruct all of them at the Proto-Semitic level. These Hebrew words are: *roš* 'head', *'ozen* 'ear', *'ayn* 'eye', *še'ār* 'hair', *lešan* 'tongue', *qeren* 'horn' and *šen* 'tooth'. These meanings are denoted by the following roots of Common Semitic origin: *r'š 'head', *ḏn 'ear', *'yn 'eye', * š'r 'hair', *lšn 'tongue', *qrn 'horn' and *šnn 'tooth'.

მიხეილ მეფარიშვილი

Mikheil Meparishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ტრადიციასა და მოდერნიზაციას შორის: თბილისის
სიონისტური ჯგუფი და ებრაული თემი
1920-30-იან წლებში**

**Between Tradition and Modernisation: Tbilisi Zionist Group
and Jewish Community in the 1920-30s**

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ებრაელები, სიონიზმი,
დავიდ ბააზოვი, ნათან ელიაშვილი

Keywords: Jews of Georgia, Zionism, David Baazov, Nathan Eliashvili

1920-იანი წლებიდან საქართველოს ებრაული თემი ძირეულ ცვლილებებს განიცდის. თუკი მანამდე საქართველოს ებრაელებისთვის ქუთაისი, ონი, სურამი, ცხინვალი, ახალციხე მნიშვნელოვანი დასახლებები იყო, 1920-იან წლებში ებრაელები თბილისს მოაშურებენ და ის ხდება საქართველოს ებრაული თემის განახლების ცენტრი. 1920-1930-იან წლებში საქართველოს ებრაელები დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან ახალ წამოწყებებში ან ხელმძღვანელობენ მათ. 1923 წელს დაარსდა კულტურული გაერთიანება „თარბუთი“, 1924 წელს 102-ე შრომის სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ებრაელთა დრამატული დასი „კადიმა“, 1924 წელს გამოიცა გაზეთ „მაკაველის“ 3 ნომერი. ამ გაზეთის მეოთხე ნომერი საბჭოთა ცენზურამ აკრძალა. 1927 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა დავით ბააზოვს და ბააზოვი-ზმს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ 1920-იან წლებში დაწყებული კულტურული საქმიანობა გახდება 1930-იანი წლებიდან დავით ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების სამართლებრივი დევნის საფუძველი. 1938 წელს დახვრიტეს დავით ბააზოვის შვილი, მწერალი და დრამატურგი გერცელ ბააზოვი, დავით ბააზოვს კი დახვრეტა ჯერ გადასახლებით შეუცვალეს. რეპრესიები შეეხო სიონისტურ ჯგუფთან დაახლოებულ სხვა პირებსაც. დევნის შიშმა განსაზღვრა საქართველოს ებრაელების ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ებრძოდა ვაჭრობაში ჩართულ ადამიანებს, საქართველოს ებრაელებისთვის შექმნა მეურნეობები, სპეციალური შრომის სკოლები, კულტურული გაერთიანებები, რომელთა დახმარებითაც ე.წ. არასანდო ელემენტებს კეთილსაიმედო მშრომელებად გარდაქმნიდა. საგულისხმოა, რომ სკოლისა და კულტურული გაერთიანებების დაარსებისა და ებრაელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების გადაცემის ინიციატივა სიონისტ აქტივიტებს – დავიდ ბააზოვსა და ნათან ელიაშვილს – ეკუთვნით. ისინი სთხოვდნენ საბჭოთა მთავრობას, რომ მიეღო ზომები საქართველოს ებრაელების კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისთვის. ერთი შეხედვით, ეს საზიარო ინიციატივები, სინამდვილეში, სხვა მოტივით იყო ნაკარნახევი. თუკი

საბჭოთა მთავრობას სურდა, რომ ყველა ეთნიკური/ეროვნული ჯგუფი ერთიან მშრომელთა მასად ჩამოეყალიბებინა, სიონისტების მიზანი საქართველოს ებრაელებში ებრაული ენისა და ისტორიის ცოდნის გავრცელება, მათი პოლიტიკური გააქტიურება და ერეც ისრაელში ალიისთვის მომზადება განლდათ.

From the 1920s onward Jews increasingly moved to Tbilisi, which became the center of the renewal of the Georgian Jewish community. During the 1920s–1930s, Georgian Jews enthusiastically engaged in or led new initiatives. In 1923, the cultural association Tarbut was founded; in 1924, the Jewish dramatic troupe Kadima was established on the basis of the Labor School No. 102; in the same year, three issues of the newspaper *Makaveeli* were published, while its fourth issue was banned by Soviet censorship. From 1927 onward, the Soviet authorities declared a struggle against David Baazov and “Baazovism”. Notably, the cultural activities launched in the 1920s later became, from the 1930s onward, the basis for the legal persecution of David Baazov and his associates. In 1938, David Baazov’s son, the writer and playwright Gertsel Baazov, was executed, while David Baazov himself had his death sentence commuted to exile.

While combating individuals involved in trade, the Soviet authorities created collective farms, special labor schools, and cultural associations for Georgian Jews, through which “unreliable elements” were to be transformed into trustworthy workers. It is noteworthy that the initiative to establish schools and cultural associations and to allocate agricultural land to Jews belonged to the Zionist activists David Baazov and Nathan Eliashvili. They appealed to the Soviet government to take measures for the cultural and economic revival of Georgian Jews. At first glance, these initiatives appeared to be shared, but in reality they were driven by different motives. Whereas the Soviet government sought to transform all ethnic and national groups into a unified mass of workers, the goal of the Zionists was to disseminate knowledge of the Jewish language and history among Georgian Jews, to promote political activism, and to prepare them for *aliyah* to Eretz Israel.

ნათია მიროტაძე
Natia Mirotadze

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი/
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, TSU Center for Eastern Christian Studies

**იშვიათი ლექსემის – ἄσμενίჯა-ს (1 მეფ. 6:19) –
თარგმნასთან დაკავშირებული სირთულეები პირველი
მეფეთას ძველ ქართულ ვერსიებში**

**Translation Issues of the Rare Word ἄσμενίჯა (1 Kingd. 6:19)
in the Old Georgian Versions of 1 Kingdoms**

საკვანძო სიტყვები: ქართული ბიბლია, მეფეთა პირველი წიგნის
ძველი ქართული ვერსია

Keywords: Georgian Bible, Old Georgian Version of The Book 1 Kingdoms

სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში ვლინდება. რაც უფრო ხშირადაა გამოყენებული სიტყვა, მით უფრო ადვილია მთარგმნელისთვის მისი მნიშვნელობის დადგენა და შემდეგ ზუსტი ეკვივალენტის შერჩევა.

მიუხედავად დიდი მოცულობისა, ბიბლიაში ისეთი ლექსიკური ერთეულებიცაა, რომლებიც მხოლოდ ერთხელ ან ძალიან იშვიათადაა გამოყენებული. ასეთია, მაგალითად, **ἀσμενίζα** პირველი მეფეთას მეექვსე თავის მეცხრამეტე მუხლში.

სწორედ ამ ლექსემის საფუძველზე განვიხილავთ, თუ როგორ არჩევენ მთარგმნელები ეკვივალენტს იშვიათი ან მხოლოდ ერთხელ ხმარებული სიტყვისთვის და როგორ იცვლება ეკვივალენტები ტრანსმისიის პროცესში.

The meaning of a word is revealed in context. The more often a word is used in a text, the easier it is for a translator to determine its meaning and then select an exact equivalent in the receiving language.

Despite its considerable size, the Bible still contains words that are used only once or very rarely. Such, for example, is ἀσμενίζα in 1 Kingdoms 6:19. In the paper, on the basis of this lexeme, I will discuss how translators choose an equivalent for ἀσμενίζα and how the text changed in the process of transmission.

ეკატერინე ნავროზაშვილი
Ekaterine Navrozashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„ქებათა ქების“ რემინისცენციები – სანდრო
შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამიტ“

Reminiscences of „Song of Songs“ - Sandro Shanshiashvili’s
lyrical Poem “Shulamith”

საკვანძო სიტყვები: „ქებათა ქება“, სანდრო შანშიაშვილი,
ლირიკული პოემა „სულამიტ“

Keywords: „Song of Songs“, Sandro Shanshiashvili, lyrical Poem “Shulamith”

ბიბლიური „სოლომონის ქებათა ქება“ საუკუნეების განმავლობაში არაერთი მწერლის ინსპირაციის წყარო გახდა. მისი მოტივების მიხედვით შეიქმნა სხვადასხვა სტილის, ჟანრის (მისტიკური, ფოლოსოფიური, ირონიულ-პაროდული, ფრივოლური...) არაერთი პოეტური და პროზაული ტექსტი: იეჰუდა ჰალევის „სიმღერა სულამითისა“, ჰ. ჰაინეს „Das Hohelied“, ვოლტერის „Précis du Cantique des cantiques“, ა. პუშკინის «В крови горит огонь желанья...», «Вертоград моей сестры...», ა. ფეტის «Подражания восточному», შოლომ-ალეიხემის «Песнь песней», ა. კუპრინის «Суламифь» და ა.შ. მათ შორისაა ს. შანშიაშვილის პოემა „სულამიტ“.

1909 წელს კიტა აბაშიძემ გამოსცა წიგნი „ქება-ქებათა სოლომონისი“, რომელიც, 978 წლის ოშკის ბიბლიაში დაცული „ქება-ქებათას“ ტექსტის გარდა, შეიცავს მწერლისა და დრამატურგის, ა. შანშიაშვილის, ლირიკულ პოემას „სულამიტ“.

ა. შანშიაშვილის პოემის სათაური – „სულამიტ“ – „ქება ქებათას“ პერსონაჟის სახელის ალუზიაა. პოემა რითმიანი ლექსითაა დაწერილი და ნინო თ-შვილს (სავარაუდოდ, ნინო თარიშვილს, იმდროინდელ ქართველ პოეტთა მუზას) ეძღვნება. პოემას ერთვის ეპიგრაფი „ქებათა ქებიდან“ (ქ.ქ., 8:6,7). ტექსტი 8 თავისგან შედგება, უსიუჟეტოა და სატრფოსადმი მიძღვნილი პოეტის ტრაგიკული სიყვარულის მონოლოგია, რომელშიც სუსტად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისმის სატრფოს „ხმაც“ – ა. შანშიაშვილის ლირიკული სატრფო ირეალური თუ რეალური სულამიტია.

მოხსენებაში ნაჩვენებია, თუ როგორ ცნაურდება ს. შანშიაშვილის ტექსტში „ქება ქებათას“ სტრუქტურა, რემინისცენციები, ალუზიები, ეპითეტები და მეტაფორები, ეროტიკული სიმბოლიკის შემცველი ლექსიკური ერთეულები. გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები.

The biblical *Song of Songs* of Solomon has been a source of inspiration for numerous writers over the centuries. Based on its motifs, many poetic and prose works of various styles and genres (mystical, philosophical, ironic-parodic, and even frivolous) have been

created. Among them are Judah Halevi's *Song of Shulamith*, Heinrich Heine's *Das Hohelied*, Voltaire's *Précis du Cantique des cantiques*, Alexander Pushkin's "В крови горит огонь желанья...", "Вертоград моей сестры...", Afanasy Fet's "Подражание восточному", Sholem Aleichem's *The Song of Songs*, Alexander Kuprin's "Shulamith" and others. Among these works stands out Sandro Shanshiashvili's poem "Shulamith".

In 1909, Kita Abashidze published the book *The Song of Songs of Solomon*, which, in addition to the text of the *Song of Songs* preserved in the Oshki Bible of 978, also contains the lyrical poem "Shulamith" by the writer and playwright A. Shanshiashvili.

The title of Shanshiashvili's poem – Shulamith – is an allusion to the name of the character in the *Song of Songs*. The poem is written in rhymed verse and is dedicated to Nino T-shvili (presumably Nino Tarishvili, the muse of Georgian poets of that time). The poem, which is accompanied by an epigraph from the *Song of Songs* (8:6–7), consists of eight chapters, lacks a narrative plot, and represents a monologue of the poet's tragic love addressed to his beloved. Within it, the beloved's "voice" is faintly, yet at times distinctly, heard – Shanshiashvili's lyrical beloved is an unreal or perhaps real Shulamith.

The paper demonstrates how the structure of the *Song of Songs*, its reminiscences, allusions, epithets and metaphors, as well as lexical units containing erotic symbolism, are reflected in Shanshiashvili's text. Specific examples are analyzed.

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი
Nikoloz Nakhutsrishvili

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი / Ilia State University, Giorgi Tsereteli
Institute of Oriental Studies

**საქართველოს ეთნოგრაფიული ფოტოები თეირანის
„გოლესთანის“ სასახლის ფოტოარქივში**

**Georgian Ethnographic Photographs in the Photo Archive of
the Golestan Palace in Tehran**

საკვანძო სიტყვები: ჟან რაული, ნასერ ედ-დინ შაჰი,
საქართველოს ეთნოგრაფიული ფოტოები

Keywords: Jean Raoult, Nasser ad-Din Shah, Georgian Ethnographic
Photographs

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ხანგრძლივი დიპლომატიური მივლინების მეორე ეტაპზე (2005-2013 წწ.) მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა მქონდა თეირანის „გოლესთანის“ სასახლე-მუზეუმის კომპლექსის ხელმძღვანელობასთან. მომეცა საშუალება, მემუშავა ამ სასახლის ფოტოარქივში, რომელიც შეიცავს ყაჯარული პერიოდის უმდიდრეს ფოტომასალას.

ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ პერიოდის ცნობილი ფრანგი ფოტოგრაფის – ჟან ქსავიე რაულის – ნასერ ად-დინ შაჰისადმი მიძღვნილმა ეთნოგრაფიულმა ფოტოალბომმა, სადაც აღმოჩნდა მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს მცხოვრებთა 28 ფოტო. ჯამში 150 ფოტოს შემცველი ამ ალბომის სრული სათაურია „რუსი, რუმინელი და ბულგარელი ხალხების ტიპების კოლექცია. სინაის, ბალკანეთის, ყირიმისა და ოდესის ხელები“.

ალბომი უთარიღოა, თუმცა, სხვადასხვა ირიბი მონაცემებით, საქართველოსთან დაკავშირებული ფოტოები გადაღებული უნდა იყოს რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878) შემდეგ, 1879 ან 1880 წელს. ჟ. რაული ფოტოებს იღებდა დასავლეთ საქართველოში, ღია სივრცეში. ფოტოებს ახლავს ნაბეჭდი სათაურები რუსულად და ფრანგულად, ასევე – ხელით მინაწერი თარგმანი სპარსულ ენაზე, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ფრანგული ენის მეტ-ნაკლებად მცოდნე ნასერ ად-დინ შაჰს.

ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ ფოტოებზე უმეტესად ვხედავთ გურულებს, იმერლებს, მეგრელებს, ებრაელებს, თითო-თითო ფოტო კი სვანებსა და ხევსურს ასახავს. რამდენიმე ფოტოს სათაურში მითითებულია „ქართველი კავკასიიდან“, თუმცა იქ აღბეჭდილი პირების მიკუთვნება რომელიმე კონკრეტული კუთხისადმი ძნელია.

მოხსენებაში წარმოდგენილია ჟ. რაულის ბიოგრაფიული ცნობები, მისი მოღვაწეობის მიმართულებები და ალბომის ისტორია, თუ როგორ აღმოჩნდა ის ირანის შაჰის ფოტოკოლექციაში.

During the second stage of my long-term diplomatic mission to the Islamic Republic of Iran (2005–2013), I maintained close professional relations with the leadership of the Golestan Palace-Museum Complex

in Tehran. This cooperation allowed me to work with the palace's photographic archive, which contains the richest collection of photographic materials from the Qajar dynasty.

My attention was drawn to an ethnographic photo album dedicated to Nasser ad-Din Shah by the renowned French photographer of the period, Jean-Xavier Raoult. The album includes 28 photographs depicting inhabitants of Georgia from the 1870s–1880s. Its full title is *Collection de Types des Peuples Russes, Roumains et Bulgares. Vues du Sinai, des Balkans, de la Crimée et d'Odessa*, and it contains a total of 150 photographs.

The album is undated; however, based on various indirect sources, the photographs related to Georgia were most likely taken after the Russo-Ottoman War (1877–1878), in 1879 or 1880. Raoult carried out his photographic work in western Georgia, in open spaces. The photographs are accompanied by printed captions in Russian and French, as well as a handwritten Persian translation, which may belong to Nasser ad-Din Shah himself, who was to some extent familiar with the French language.

The individual and group portraits predominantly depict Gurians, Imeretians, Megrelians, and Jews, with one photograph each of Svans and Khevsurians. Several photographs are titled "A Georgian from the Caucasus", though it is difficult to attribute the portrayed individuals to specific regions.

This report presents biographical information on J. Raoult, examines the scope and direction of his work, and traces the history of the album, including how it ultimately became part of the photographic collection of the Shah of Iran.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**მარტინ ბუბერის თარგმნილი ბიბლიის თეორიული
პრინციპები და თავისებურებები**

**Theoretical Principles and Features of Martin Buber's Bible
Translation**

საკვანძო სიტყვები: მარტინ ბუბერი, ფრანც როზენცვაიგი, Die Schrift,
ბიბლიის თარგმნა, გერმანული ბიბლიური თარგმანი, ბიბლიური
დიალოგი

Keywords: Martin Buber, Franz Rosenzweig, *Die Schrift*, Bible translation,
German biblical translation, biblical dialogue

ბიბლიის თარგმნა გერმანულ ენაზე მარტინ ლუთერის შემდგომ რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ბიბლიის გერმანულენოვან მთარგმნელთა შორის აღსანიშნავია ავსტრიელი ებრაელი ფილოსოფოსისა და თეორეტიკოსის, მარტინ ბუბერის (1878–1965), წვლილი და მეთოდოლოგია გერმანულ ენაზე. ბუბერის ფილოსოფია ეფუძნება დიალოგის თემას, როგორც კაცობრიობის ორგანულ ანთროპოლოგიურ პრინციპს. მარტინ ბუბერის ნაშრომი “Ich und Du” („მე და შენ“, 1923), წარმოადგენს ადამიანებისა და ღმერთის, ასევე მთელი კაცობრიობის, დიალოგს, როგორც მთავარ რელიგიურ პრინციპს.

მარტინ ბუბერმა შექმნა ბიბლიის თარგმნის განსხვავებული მიდგომები და მეთოდოლოგია. კერძოდ, იგი პრიორიტეტად მიიჩნევდა ბიბლიის ებრაული ენიდან თარგმნას. მან ბიბლიას გერმანულ ენაზე უწოდა *Die Schrift*. სახელწოდება შეესაბამება ებრაულ ორიგინალს. ბიბლიის თარგმნისას 1925-1929 წლებში, ბუბერი მჭიდროდ თანამშრომლობდა ფრანც როზენცვაიგთან (1886-1929), ებრაელ ფილოსოფოსთან გერმანიიდან. მათ ერთად თარგმნეს ბიბლიის პირველი ხუთი თავი. ამ ნაწილს ბუბერ-როზენცვაიგის ბიბლიასაც უწოდებენ. როზენცვაიგის გარდაცვალების შემდგომ კი, ბუბერმა დამოუკიდებლად დაასრულა ბიბლიის თარგმნა.

მარტინ ბუბერის თარგმნილ ბიბლიაში ასახულია ებრაული ტექსტის სემანტიკური და ფორმალური მახასიათებლები. მთარგმნელების მთავარი ამოცანა იყო ებრაული ტექსტის ზუსტი ენობრივი შესატყვისის შექმნა, თუმცა, სიტყვასიტყვითი თარგმანის ნაცვლად, მათ მკითხველს შესთავაზეს ბიბლიის ლიტერატურული თარგმანი. ბიბლიური ტექსტის თარგმნისას ამოსავალი იყო ყველა ენის საერთო წარმოშობის კონცეფცია, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკური ერთეულების საერთო ეტიმოლოგიური საფუძვლების ძიებისა და აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. მარტინ ბუბერის თარგმნილი ბიბლია მაქსიმალურად აახლოებდა ებრაულ და გერმანულ ენებს, განკუთვნილი იყო გერმანულენოვანი მკითხველისათვის – არა მხოლოდ გერმანულენოვანი ებრაელებისათვის, არამედ გერმანულ ენაზე მოსაუბრე ფართო მკითხველისათვის, მათ შორის, რასაკვირველია, ქრისტიანებისათვის. თარგმანისას გამოყენებულია დიალოგურობა, როგორც მეთოდი, რომელიც მიიღწევა ნაცვალსახელებით “Du”, “Er” (“შენ”, “ის”). ბუ-

ბერი მიუთითებდა: „ის, რაც ლაპარაკისას წარმოიშვება, ლაპარაკითვე შეიძლება აღდგეს“.

მოსხუნებაში განვიხილავთ მარტინ ბუბერის თარგმნილი ბიბლიის მეთოდოლოგიასა და თარგმანის თავისებურებებს.

After Martin Luther, the translation of the Bible into German followed several directions. Among the German-language translators, the contribution and methodology of the Austrian-Jewish philosopher and theoretician Martin Buber (1878–1965) are particularly noteworthy. Buber’s philosophy is based on the concept of dialogue as an organic anthropological principle of humanity. His work *Ich und Du* (“I and Thou,” 1923) presents a dialogue between humans and God, as well as among all people, as a fundamental religious principle.

Buber developed a distinctive approach and methodology for translating the Bible. He emphasized the priority of translating from the Hebrew original and named the Bible in German *Die Schrift*, reflecting the Hebrew source text. Between 1925 and 1929, Buber closely collaborated with the German-Jewish philosopher Franz Rosenzweig (1886–1929), together translating the first five books of the Bible, a portion known as the Buber-Rosenzweig Bible. After Rosenzweig’s death, Buber completed the translation independently.

In Buber’s translation, the semantic and formal features of the Hebrew text are preserved. The main goal of the translators was to convey a linguistically precise rendition of the Hebrew Bible; however, instead of a strictly literal translation, they offered a literary German version. A key principle of this translation was the concept of the universal origin of language, allowing the exploration and discovery of the broad etymological foundations of lexical units across languages. Buber’s translation closely aligns Hebrew and German, intended not only for German-speaking Jews but also for the wider German-speaking audience, including Christians. The method employed dialogue, expressed through pronouns such as *Du* and *Er* (“you” and “he”), reflecting Buber’s principle: “What is born in speech can be restored through speech.”

This paper examines the methodology and distinctive features of Martin Buber’s Bible translation.

ნინო ჩიქოვანი

Nino Chikovani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**საქართველოს ებრაელთა პოლიტიკური უფლებების
საკითხი მე-20 საუკუნის დასაწყისში**

**The Question of the Political Rights of the Jewish Community
in Georgia at the Beginning of the 20th Century**

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ებრაელები, იდენტობა, არჩევნები,
პოლიტიკური უფლებები

Keywords: Jews of Georgia, identity, elections, political rights

საქართველოს ებრაელთა პოლიტიკური ცხოვრება მე-20 საუკუნის პირველ ორ ათწლეულში კომპლექსური და დინამიკური იყო. რუსეთის იმპერიისათვის ეს პერიოდი სოციალური და პოლიტიკური დაპირისპირებებით, რევოლუციებითა და რეჟიმის ცვლილებებით ხასიათდება. საქართველოში, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, ეროვნული პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო; ქართველმა ინტელექტუალებმა შეიმუშავეს ქართული ნაციონალური პროექტის საფუძვლები. საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მსგავსად, დადგა ებრაელთა იდენტობის განსაზღვრის საკითხიც. ეს პროცესი ქართული ნაციონალიზმის ფუძემდებლების მიერ იყო ინიცირებული. მე-20 საუკუნის დასაწყისში დისკუსიას ებრაული იდენტობის შესახებ ქართველი ებრაელი ინტელექტუალებიც შეუერთდნენ. ისინი ეხმაურებოდნენ მიმდინარე პროცესებს, ცოტა მოგვიანებით კი მათ აქტიურ მონაწილეებად იქცნენ.

1910-იან წლებში ქართულ პრესაში აქტიურად განიხილებოდა ებრაული მოსახლეობის არჩევნებსა და, ზოგადად, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების საკითხი. ქართველ ებრაელთა ძირითადი ურთერთდაპირისპირებული სამი ჯგუფის („ასიმილატორები“, სიონისტები და ორგანიზაცია „აგულათ ისრაელი“) პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იყო წარმოჩენილი.

ებრაული თემის ეკონომიკურად ძლიერი და ინტელექტუალურად დაწინაურებული ნაწილი – თბილისისა და ქუთაისის ებრაელები – ხშირად იყვნენ არჩეული საქალაქო საბჭოების დეპუტატებად. 1917 წლის რუსეთის რევოლუციების შემდეგ, ქართველი ებრაელები იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის (1918 წლის 26 მაისი) ხელმომწერთა შორის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921) ებრაელები იყვნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტი) და 1919 წელს არჩეული დამფუძნებელი კრების წევრები. მოხსენებაში დეტალურადაა წარმოდგენილი იმ ქართველი ებრაელების მოღვაწეობა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან

როლს ასრულებდნენ საკვლევო პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

The paper presents a complex picture of the political life of Georgian Jews during the first two decades of the 20th century – a turbulent era for the Russian Empire. In Georgia, which had been incorporated into the Russian Empire a century earlier, the process of formation of a national political community began at the end of the 19th century as Georgian intellectuals laid the foundations of the “Georgian national project”. Alongside other ethnic and religious groups, the identity of Georgia’s Jewish population required clear definition. The founding fathers of the Georgian national project initiated this discourse, Georgian Jewish intellectuals joined the discussion at the turn of the century. They not only reacted to the unfolding political shifts but eventually became active participants in them.

Throughout the 1910s, Georgian newspapers featured active debates regarding the political rights Jews and their participation in electoral processes. During this period tensions intensified among the three primary factions of the Georgian Jewish community, each of whom held a distinct vision of Jewish identity.

Representatives of the economically established and intellectually prominent segments of the Georgian Jewish community – the Jews of Tbilisi and Kutaisi – were well-represented as deputies in the City Councils. Notably, Georgian Jews were among the signatories of the Act of Independence (26 May 1918). Throughout the era of the Democratic Republic of Georgia (1918-1921), they served as members of the National Council (Parliament) of Georgia and the Constituent Assembly elected in 1919. The paper examines, in detail, the contributions of several Georgian Jews who played the pivotal role in the political life of Georgia during this transformative period.

ლელა წინუაშვილი
Lela Tsitsuashvili

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს
უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი/Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of
Fine Arts, University
of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ფერში აქლერებული სიყვარულის მარადიული სიმღერა.
„ქებათა ქების“ თარგმანების ანთოლოგიის
გია გუგუშვილისეული ილუსტრაციები

Eternal Song of Love Expressed in Colors.
Illustrations by Gia Gugushvili for the Anthology of Georgian
Translations of “Song of Songs”

საკვანძო სიტყვები: ქებათა ქება, წიგნის ილუსტრაცია,
გია გუგუშვილი, ფერწერა
Keywords: Song of Songs, book illustrations, Gia Gugushvili, painting

სოლომონის „ქებათა ქება“ ბიბლიის ძველი აღთქმის ერთ ერთი ყველაზე ლირიკული და სიმბოლურად მდიდარი ტექსტი, თავისი მარადიული მედიტაციით სიყვარულზე, ლტოლვაზე, სილამაზესა და სულიერ ერთგულებაზე საუკუნეების განმავლობაში მრავალი ლიტერატურული და მხატვრული ინტერპრეტაციის მთაგონების წყაროდ იქცა.

ეკატერინე ნავროზაშვილის მიერ შედგენილი „ქებათა ქების“ მეოცე საუკუნის ქართული თარგმანების ცხრა ავტორის ანთოლოგია, წარმოადგენს პირველ ილუსტრირებულ გამოცემას, რომელიც შექმნილია მხატვარ გია გუგუშვილის გამორჩეული ვიზუალური ხედვით. ცნობილი თავისი ექსპრესიული მხატვრული ენითა და ემოციური ინტენსივობით, გია გუგუშვილი უძველეს პოეტურ ტექსტს გარდაქმნის ფერების, რიტმისა და სიმბოლური გამოსახულების ცოცხალ სამყაროდ, სადაც სენსუალური და საკრალური თანაარსებობს ჰარმონიულ ვიზუალურ ბალანსში. დინამიკური კომპოზიციების, ექსპრესიული ხაზებისა და ფერების თამამი კონტრასტების მეშვეობით, მხატვარი გადმოსცემს ტექსტის ლირიკულ ატმოსფეროს და ამავდროულად ავლენს მის მრავალმრიან ფილოსოფიურ და ემოციურ ნიუნასებს.

ანთოლოგიის ორენოვანი სტრუქტურა - წარმოდგენილი ქართულ და ებრაულ ენებზე, კიდევ უფრო აძლიერებს დიალოგს ისტორიულ ტრადიციასა და თანამედროვე მხატვრულ ხედვას შორის. ფერის სიმბოლური დატვირთვით, ალეგორიებითა და მისტიციზმით გაჯერებული მხატვარის მიერ შექმნილი რვა დამოუკიდებელი ფერწერული ნამუშევარი „ქებათა ქებას“ თითოეულ თავის ილუსტრაციას წარმოადგენს და პარალელური ნარატივით განმარტავს წერილობით სიტყვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის მთლიანი გაფორმება, სადაც თითოეული თარგმანი იწყება ორიგინალური, სიმბოლური დატვირთვის მქონე ოქროსფერი გრაფიკული ჩანახატი. დავით ჯანიაშვილის დახვეწილი დიზაინი, ტექსტის და გამოსახულების სინთეზი თავად წიგნს აქცევს ხელოვნების ნიმუშად. სიყვარულის მარადიული და უნივერსალური ენის გია გუგუშვილის ინტენსიური მხატვრული ინტერპრეტაცია და წიგნის ინტელექტუალურად ნიუ-

ანსირებული ესთეტიკა, უძველესი ბიბლიური ტექსტის პოეტური, საკრალური და ვიზუალური განცდისა და ჰარმონიული აღქმის უნიკალურ თანამედროვე ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

Solomon's Song of Songs, one of the most lyrical and symbolically rich texts of the Old Testament, has inspired centuries of artistic reflection through its timeless meditation on love, longing, beauty, and spiritual devotion. The anthology of nine twentieth-century authors, completed by Ekaterine Navrozashvili, represents the first illustrated edition of Georgian translations, shaped by the distinctive vision of the Georgian painter Gia Gugushvili. Renowned for his expressive painterly language and emotional intensity, Gugushvili transforms ancient biblical poetry into a contemporary visual experience in which color, rhythm, and symbolic form create a dynamic dialogue between the sensual and the sacred.

Conceived as an integral part of the publication, the artist's eight autonomous paintings correspond to the eight chapters of the Song of Songs, forming a parallel narrative that both accompanies and reinterprets the written word. Through bold chromatic contrasts, gestural line, and a refined balance between figuration and abstraction, Gugushvili reveals the multilayered philosophical and emotional resonance of the text. The anthology's bilingual structure – presented in Georgian and Hebrew – further reinforces the dialogue between historical tradition and modern artistic vision.

Equally significant is the overall design by David Janiashvili: each translation opens with a symbolic golden graphic element, and the carefully orchestrated layout transforms the volume into a unified art object. Through this synthesis of text, image, and design, Gugushvili proposes a contemporary visual exegesis, offering a poetic and intellectually nuanced interpretation of the eternal and universal language of love.





ანა ხარანაული

Anna Kharanauli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი /Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, TSU Center for Eastern Christian Studies

**მხატვრული ხერხების გამოყენება მცირე
წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში
პარალელიზმების გადმოტანის მაგალთზე**

**Use of Literary Devices in the Georgian Minor Prophets -
Rendering of Parallelisms**

საკვანძო სიტყვები: მცირე წინასწარმეტყველები,
ძველი ქართული ბიბლია, თარგმანის ტექნიკა, პარალელიზმი,
მხატვრული ხერხები

Key words: Minor Prophets, Old Georgian Bible, Translation Technique,
Parallelism, Figures of Speech

ბიბლიის მთარგმნელის მიზანია, გადმოიტანოს წმინდა წერილის აზრი იმ ფორმალურ-ენობრივი საშუალებებით, რომლითაც ეს აზრი დედანშია გამოხატული: ასახოს სათარგმნ სემანტიკა სემანტიკური მნიშვნელობები, სემანტიკა რაოდენობა, მათი მიმდევრობა, გრამატიკული ფუნქციები და ასევე ის მხატვრული ხერხები, პოეტური ეფექტები, რომლებითაც ესთეტიურ შთაბეჭდილებას ქმნიან და აზრის უკეთეს ათვისებას ემსახურებიან.

ბიბლიის ებრაულის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია პარალელიზმი. პარალელიზმი ცნობილი და გავრცელებული მხატვრულ-რიტორიკული ხერხია პოეზიასა და პროზაში. იგი მიიღწევა ტექსტის როგორც სემანტიკის გამომხატველი წევრების, ისე მისი ბგერათა და ბგერათშეთანხმებების რეგულარული, სიმეტრიული ან ასიმეტრიული განმეორებით.

ბიბლიის ბერძნულ თარგმანებში პარალელიზმი, როგორც დედნის სტილისტური ნიშანი, ასახულია, მაგრამ თარგმანის დედნის მხატვრული სტილის (მათ შორის, პარალელიზმის გადმოტანა) ასახვა შეიძლება მთარგმნელის მხრიდან დედნისადმი ფორმალური ერთგულების თანამდევი შედეგი იყოს და არა იმისა, რომ მთარგმნელი მხატვრულ ხერხებს დედნის სტილის ნიშნად აღიქვამს და გაცნობიერებულად ცდილობს მის რეპროდუცირებას ტექსტის სემანტიკურ-კვანტიტატიურ მონაცემებთან ერთად. ეს რომ ასე არ არის და ბერძენი მთარგმნელების ამოცანა ტექსტის ემოციურ-ესთეტიკური ხასიათის გადმოტანაცაა, დასტურდება მაგალითებით, სადაც მთარგმნელები ებრაულისგან დამოუკიდებლად ქმნიან პარალელიზმებს.

მოხსენებაში განხილულია, თუ როგორ აისახება მცირე წინასწარმეტყველთა ქართულ თარგმანებში ბერძნული დედნის ოდენ ბგერწერითი (ალიტერაცია) და სემანტიკური (სინთეტური და ანტი-თეტური) პარალელიზმები. კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მთარგმნელები კარგად ერკვეოდნენ მხატვრულ სახეებში, მათ შორის, ტექსტის ბგერითი ორგანიზაციის სხვადასხვა საშუალებებში, გააზრებულად, თავიანთი შეხედულებისამებრ ცდილობდნენ ბერძნული დედნის ამ მახასიათებლის ასახვას თავიანთ თარგმანში: ან დედნისეული მხატვრული განმე-

ორებების რეპროდუცირებას ახდენენ, ან მოდიფიცირებას უკეთებენ მას, ან უგულვებელყოფენ, ან, დედნისაგან დამოუკიდებლად, თავად ქმნიან პარალელიზმს, როგორც მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ ხერხს.

The aim of the biblical translator is to render the meaning of Holy Scripture through the same formal and linguistic structures by which that meaning is articulated in the source text: i.e. through rendering the semantics of each and every translated unit, their sequence, and their grammatical functions, as well as the various types of figures of speech which, by means of poetic effects, facilitate understanding of the message. One of the most distinctive features of Biblical Hebrew is parallelism, a literary and rhetorical figure commonly used in both poetry and prose. It is created through the repetition of meaning-bearing or phonetic elements in either a symmetrical or asymmetrical way. Greek Bible translations preserve parallelism as a stylistic feature of the source text. However, the rendering of the original's literary style, including parallelism, may sometimes be the result of the translator's formal faithfulness to the source text rather than a conscious decision to preserve the original's stylistic features. Yet, examples in which Greek translators create parallelisms independently of the Hebrew suggest the opposite – that the translators also aimed to render the emotional and aesthetic character of the text.

The paper examines how phonological (alliteration) as well as semantic (synthetic and antithetic) parallelisms of the Greek source text are reflected in the Old Georgian translations of the Minor Prophets. Based on an analysis of selected examples, it is shown that the translators were familiar with various phonological literary devices. They consciously, and according to their own judgment, sought to reflect these characteristics of the Greek original: in some cases, they replicate the repetitions of the original; in others, they modify or neglect them, or even create parallelism independently of the source text, thereby emulating the stylistic features of the biblical language.

